



ოქმი N2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

2019 წელი, 22 იანვარი

ქ. ოზურგეთი

15.00 საათი

**თავმჯდომარეობდა:** დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

**ესწრებოდნენ:** მუნიციპალიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ.ღურჯუმელიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე, ე.გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, დ.მჭავანაძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, გ.ჩავლეშვილი, დ.ჭაკნელიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.ჩხიკვიშვილი, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, გ.მდინარაძე, ვ.ბერიძე, ბ.ქათამაძე, ლ.ნინიძე, პ.კილურაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, რ.სკამპოჩაიშვილი, ბ.თოიძე, ლ.კილაძე, ალ.დლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, თ.ბურჭულაძე, ლ.სიჭინავა.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-ალ.სურგულაძე.

მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი მუშაკები.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, აღნიშნა, რომ სხდომა მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის მერის კ.შარაშენიძის წინადადებით, სხდომის დაწყებამდე, მისი წინადადებით, საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დიდ დილომში ტრაგიკულად დაღუპულთა და ტელეწამყვან ლ.ჩხაიძის ხსოვნას. შემდეგ მიაწოდა

ინფორმაცია ქვორუმზე -45 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 32-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას და საკრებულოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას გააცნოს სხდომის დღის წესრიგი, რომლის დამტკიცებამდე საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ-გ.კილაძემ ითხოვა ერთი საკითხის- „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.26.01.367.01/502) ქ.ოზურგეთში გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.N3 მდებარე 36,2 კვ.მ.უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ დამატება.

32- ხმით დაამტკიცეს დღის წესრიგი.

აღნიშნა, რომ როგორც წესი, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ გაკეთდება განცხადებები.

საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ე.გორდელაძემ - საკრებულოს მიაწოდა ინფორმაცია საკრებულოს ფრაქცია,, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობიდან დ.მჟავანაძის გადარჩევისა და ფრაქციის თავმჯდომარედ ბესიკ ქათამაძის არჩევის თაობაზე.

### **დღის წესრიგი**

5.1.,„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**

**გია მამაკაიშვილი**

**გიორგი ჩაგანავა**

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 32-ხმით

ამ საკითხის დამტკიცების ვადად განისაზღვრა საკრებულოს მორიგი სხდომა.

6..2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი-მოძრავი ქონებების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**

**ალეკო მამეიშვილი**

## **გოჩა კილაძე**

განკარგულება თან ერთვის  
მიღებულ იქნა 32-ხმით

7..3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: ალექსანდრე სურგულაძე**

**ალეკო მამეიშვილი**

**გოჩა კილაძე**

განკარგულება თან ერთვის  
მიღებულ იქნა 30-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს წევრმა პარტია- „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ დ.მჭავანაძემ განაცხადა, რომ დაბა ლაითურიდან ბივანიშვილი აპირებს ე.წ. „კანფეტის ხის“ დენდროლოგიურ პარკში გადატანას, რასაც მოყვება ინფრასტრუქტურისა და ლანდშაფტის დაზიანება, როგორც მოხდა ჭადრის გადატანისას და აღდგენის დაპირება არ შესრულებულა. ამ განცხადებას მოჰყვა კამათი, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა დატოვეს სხდომა.

საკრებულოს წევრმა დასვა შეკითხვა გასაყიდი ავტომობილების ფასის თაობაზე, მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ გააკეთა განმარტება.

საკრებულოს წევრმა დ. მამალაძემ დასვა შეკითხვა-გასაყიდი ხე მოძრავ თუ უძრავ ქონებაში უნდა ჩაითვალოს?

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლავრენტი ბიგვაჯას 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის სახით წარდგენისა და ცნობად მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: დავით დარჩია**

**თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე**

საკრებულოს წევრის ლ.ბიგვაჯას მიერ ამომრჩევლებისათვის 2018 წელში გაწეული მუშაობის ანგარიშის თაობაზე საკრებულოს სხდომას ინფორმაცია მიაწოდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ - გ.ღურჯუმელიძემ, რომელიც საკრებულომ მიიღო ცნობად.

8.5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ26.26.01.367.01/502) ქ.ოზურგეთში გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.N3 მდებარე 36,2 კვ.მ.უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

**მომხს:დ.დარჩია**

**თანამომხს:ალ სურგულაძე**

განკარგულება თან ერთვის  
მიღებულ იქნა 30-ხმით

ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ- გ.ღურჯუმელიძემ აღნიშნა, რომ შეიქმნა გურიის სტატისტიკის რეგიონალური სამსახური, რომელსაც ესაჭიროება საოფისე ფართი.

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ ვრცელი განცხადება გააკეთა საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ ტ.აროშიძემ, მან ისაუბრა დაბა ლაითურში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებზე და ქართუ ჯგუფის მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აგებულ და მუნიციპალიტეტისათვის საკუთრებაში გადმოცემულ კულტ-საგანმანათლებლო ობიექტების მნიშვნელობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ ხაზი გაუსვა ამ ობიექტებიდან მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების ზრდის მნიშვნელოვან წილს.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე  
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

*a. p. s. m. j. =*

